წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 10 კ.   ტელეფონი № 76.   ოთხშაბათი ივლისის 19 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . . 10 მან.
თვიურათ . . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ტრის . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
[illegible]

რედაქცია და კანტორა იმყოფება [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 82   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 82

თავზარდაცემულნი მშობლები სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი მიტროფანე ფილიპეს ძე ფხაკაძე და მეუღლე მისი ელისაბედ გრიგოლიას ასული შვილებითურთ აუწერელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი ძე მათი, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე

ალექსანდრე (საშიკო) მიტროფანეს ძე ფ ხ ა კ ა ძ ე,

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია ამა ივლისის ოცს, დილით ხუთშაბათს, საათის ოთხზედ. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს ექვს საათზედ, საკუთარ სახლში, ფერმის ქუჩა 13.

ღრმათ დამწუხრებული ქვრივი აღათი დავითის ასული ჰედიასი, შვილები ფოშტა ტელეგრაფის კანტორის უფროსი ნესტორ პეტრესძე, ვალენტინა პეტრეს ასული ჩხაიძისა, და შუშანა პეტრეს სული, რძალი ანნა არტემის ასული და სიძე პოლკოვნიკი ერმალო ივანისძე ჩხაიძე და შვილი შვილები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ პირველის საყვარელი ქმრისა, მეორენის მამისა, მესამის მამათილისა და მეოთხის სიმამრისა და მეხუთენის ბაბუისა

პეტრე დავითის მის ჭედიასი

პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 7-ს საათზე გამოსვენება 20 ამა ივლისს ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე ძველი დროით თავის საკუთარ სახლიდან ლევაშოვის ქუჩა საფიჩხიის სასაფლაოზე

ელექტრო „რ ა დ ი უ მ" თეატრი
საზაფხულო შენობა.
ივლისის 17, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი განსაკუთრებით მოზრდილთათვის

მონაც გაკადნიერდა

კინო პოემა 4 ნაწ. მოაწ. მ. რუტცისა და ხოხლოვის.
როგორ შეირთო ცოლი სოკოლსკიმ სახუმარო ფარსი 3 ნაწ.

ელექტრო „ამპირ" თეატრი
საზაფხულო შენობა.
ივლისის 13 ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

ბუღალტერი ტორბინი

პიესა ეკრანისთვის ა. ლ. ვოზნესენსკის მონაწ. დრამა 4 ნაწ.
გადიდების მოსასხამი იტანჯება სახუმარო 2 ნაწ. მონაწ. კოროტიშკინისა.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ.

## მოქალაქენო!

უკანასკნელი საარჩევნო სია 18 ამა ივლისიდან გამოქვეყნებულ იქნება ყველასათვის გადასათვალიერებლად იმ საარჩევნო უბნებში, სადაც გამოქვეყნებული იყო პირველი საარჩევნო სია.

ის პირნი, ვინც ამ უკანასკნელ სიაში არ არიან შეტანილნი, ან ხმოსანთა არჩევნების მოხდენამდის დაკარგვენ საარჩევნო უფლებას, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ამა ივლისის 26 ს რიცხვამდი, დღის 12 საათიდან 2-მდი, ამომრჩევლებს უფლება აქვთ წარუდგინონ ქალაქის მოურავს! ქალაქის გამგეობის დარბაზში! სია ხმოსნათ ასარჩევ კანდიდატებისა, რომელთაც კენჭის ყრაზე თანხმობა განაცხადეს.

სიაში დასახელებულ კანდიდატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 66: თუ სიაში დასახელებულ იქმნა 66 კანდიდატზე მეტი, უკანასკნელნი ანგარიშში არ მიიღებიან-

სიებს ხელს უნდა აწერდეს არა ნაკლებ 33 ამომრჩევლისა.

თითოეულ ამომრჩეველს უფლება აქვს ხელი მოაწეროს მხოლოდ ერთს სახმოსნო კანდიდატთა სიას.

ისწრაფეთ, რომ არ გაუშვათ ვადა კანდიდატთა სიების წარმოდგენისა.

ქუთაისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტი.

ექიმები:

ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს
ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტეშინსკის სახლი

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისით ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.
ტელეფონი 135 №.

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

Argon—ტრაქტატი და „სოციალიზმი".
ა. თორაძე—კლასთა ბრძოლა, ეროვნული კითხვა, სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები.
მედგარი—ქართველი სამღვდელოება.
დ. ს.—სამი წელი სრულდება.
ქართული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტების 1-ლი სხდომა. იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების 1-ლი ავტოკეფალური სხდომა. უცხოეთი. უკანასკნელი ამბები. ახალი ამბავი.

სამშაბათს 18 ივლისს, საღამოს 8 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების

წევრთა წლიური საზოგადო კრება.

განსახილველია: —

1. წარსული საანგარიშო წლის მოქმედების განხილვა და დამტკიცება:
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება:
3. მომავალი საანგარიშო წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება:
4. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

ხსენებული კრება მეორეთ ინიშნება და ამიტომ კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

გ ა მ გ ე ო ბ ა.

დ. ხ ა რ ა გ ო უ ლ ი.

კვირას, 23 ივლისს, 1917 წ. ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ 10 პროც. გადაიდება ხარაგაულის სახალხო სახლის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლათ.

გაიმართება დიდი სმირნოვა-ს ა ღ ა მ ო

მომენტის შესახებ გ. წერეთელი ✖✖
დედა და შვილი ი. ჭავჭავაძე ✖✖ დივერტისმენტი
ეროვნული კითხვა ა. თორაძე ✖✖

ი. გრიშაშვილის და ლადო მაჭავარიანის მონაწილეობით

სცენები, კუპლეტები „ვაი-ვუის ხმაზე" და დეპეშები ალეგრა, ლოტარია, ფოსტა, „ბედის კლიტე" „მეოცე საუკუნის მხეცი მკითხავი და სხ.
ცეკვა. დაუკრავს ზურნა და სიმებიანი ორკესტრი. დასასრულ ვახშამი.

დიასახლისები. ნ. კიკნაძე, ნ. დეკანოსიძე, დ. გუნცაძე   გამგე გრ. მაჭავარიანი

## ტრაქტატი და „სოციალიზმი".

მკითხველს არ მოეწონება წერილის სათაური.

მეც განცვიფრებული ვრჩები, როცა სულ სხვადასხვა დარგის ცნებების დაპირდაპირებას ვკითხულობ ან ვისმენ, მაგრამ რას იზამ?!

პოლიტიკური გარდაქმნის, დროს და ზოგიერთს ჰგონია, რომ ლოღიკა და მათემატიკა უნდა გარდაქმნან მზარეულები საცვში პიტნას ურთავენ.

ამიტომ ნუ გვიწყენთ, თუ შემდეგშიაც იძულებული ვიქნებით ასეთი სათაურიანი წერილები დავსტამბოთ:

„რევოლუცია და ტრიგონომეტრია".
„სოციალიზმი და პირამიდები".
„ფედერაცია და გალვანიზმი".

პირველად, როცა გავიგონე: моя соціалистическая совѣсть не позволяетъ право грузинскаго народа базировать на трактатѣ, т. к. онъ заключенъ не полномочными представителями народной воли...-მეგონა ვიღაც უპასუხისმგებლო ბავშვი ლაპარაკობს მეთქი, მაგრამ, როგორც ირკვევა ამასვე იმეორებენ პარტიების მეთაურნი, ტრიბუნები ხალხისა და გაზეთების პუბლიცისტები...

საბედნიეროთ მხოლოდ ჩვენში... მთელს ქვეყანას და არც მთელს რუსეთს ასეთი ტვინის დანძლევა ჯერ არ მოსვლია.

ნამდვილი სოციალისტები, რომელთაც არ სჭირდებათ შეხვედრის დროს „გამარჯვების" მაგიერ მოგახალონ „მე სოციალისტი ვარო", ტრაქტატებს არა თუ არ უკარგავენ ძალასა და მნიშვნელობას, არამედ პირიქით ტრაქტატის დამრღვევს განსაკუთრებულის სიძულვილით სდევნიან, როგორც გადამლახველს ადამიანთა შორის კეთილ განწყობილების პირობებისას.

ტირანს-ზე-კაცს, რომელიც მიზნის მისაღწევად თანაბრად ხმარობს ხანჯლის წვერს და საწამლავს, ფლიდობას და სიტყვის გატეხას მაკიაველიც კი პირახდილად ვერ ამართლებს, და ისე აღწერს მათს მოქმედებას, რომ არ იცი, აქებს თუ მხოლოდ აღწერს პირუთვნელად.

ხალხი, დემოკრატია თავის გულის სიღრმეში ყოველთვის კანონიერებას, სამართლიანობის, ნამუსის და სიტყვის სიმტკიცის დამცველია.

ქართული ანდაზა ამბობს:

„პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსიაო".

რუსული ანდაზა გვასწავლის:

„სიტყვა ფულზე უძვირფასესიაო".

და ამის მიხედვით არის, რომ ნამდვილ სოციალისტებს, რომელთაც ესმისთ, თუ რა არის ტრაქტატი—მაგალითად, კერენსკის, წერეთელს, ჩხეიძეს, ჩერნოვს—არა თუ არ გაუბათილებიათ მეფეთა მიერ შეკრული საიდუმლო ტრაქტატები, არამედ არც კი გაუმჟღავნებიათ, მიუხედავათ დაჟინებით მოთხოვნისა.

ჩვენს სოციალისტებზე ნაკლებათ არ აქვთ შეგნებული მათ „სოციალისტური სინიდისი" მაგრამ იციან, რომ ტრაქტატის დარღვევა მოასწავებს არა სინიდისის და ნამუსის ნაბიჯს, არამედ ევროპის გაველურებას და ჰგმობენ სწორეთ იმ ადამიანის—ვილჰელმ 2-ეს რომელმაც დაარღვია ბელგიასთან ხელშეკრულობა—ტრაქტატი.

და განა მარტო ბელგიის ზიანზე არის საქმე? არა, ყოველი ტრაქტატის—ხელშეკრულობის ვერაგულათ დარღვევა არის უდიდესი ბოროტ-მოქმედება კაცობრიობის წინაშე, ვინაიდან იგი ჰბადებს უნდობლობას სახელმწიფოთა შორის, და თუ ერთმანეთის ნდობა არ ექმნა სახელწიფოებს, ერებს და ადამიანებს, ჩვენ კვლავინდებურად დავიწყებთ ხეტიალს, ძარცვა-გლეჯას და დაუბრუნდებით იმ დროს, როცა ადამიანი ადამიანს კბილებით ეცემოდა...

წარმოვიდგინოთ ერთს წამს, რომ ხელშეკრულებანი მეფეებისა, ყოფილი მთავრობებისა „ნაგლეჯ" ქაღალდათ ჩავთვალეთ...

მაშინ ვინღა დაუჯერებს დღევანდელ მთავრობას, ვინ მოისურვებს მასთან რაიმე პირობების შეკვრას? არც ერთი მთავრობა, არც ერთი წესწყობილება სამარადისო არ არის: ვიტტეს ხელშეკრულობას საზანოვი არ გაუწევს ანგარიშს, საზონოვისას მილიუკოვი, მილიუკოვისას ტერეშჩენკო, მონარქისტისას კონსტიტუციონალისტი, კონსტიტუციონალისტისას სოციალისტი და ასე უკუნითი უკუნისამდე.

და საზოგადოდ რა აქვს საერთო სოციალიზმს ტრაქტატთან?

სოციალიზმი ეკონომიური განწყობილების ერთი ფორმათაგანია; ტრაქტატი კი ერთგვარი დადგენილება—პირობაა.

და პირობა, როგორიც არ უნდა იყოს, თუ კი იგი თქვენის კანონიერის წარმომადგენლისაგან არის შემდგარი ანგარიშ გასაწევი არ არის?

ტრაქტატის განხილვა, გაუქმებაც შეიძლება, მაგრამ ამავე კანონით და წესით, როგორც ეს საერთაშორისო კანონით არის აღიარებული და არა იმ მოსაზრებით, რომ მისი თდესღაც შემკვრელი დღეს მიმაჩნია ულირსადო.

არც ქართველსა და არც რუსის ერს 1783 წელს არ ყოლია სხვა წარმომადგენელი გარდა თვისი მეფეებისა და არც არავის შექონდა ეჭვი მათ უფლება-მოსილებაში. თუ მათ ერთათვის საზიანო ტრაქტატები დაუდვიათ, მაშინ

უნდა იქმნენ ისინი განხილულნი, ისე კი, რომ ორივე მხარეს თანაბარი უფლება ექმნეს შესწორების შეტანისა.

ბრძანებენ, რათ გვინდა ტრაქტატი ჩვენ დავემყარებით „ერის ბუნებრივ უფლებებსო“.

რაში მდგომარეობს „ბუნებრივი უფლება ერისა“?

ერობის მოწყობაში, ოლქობრივ თვით მართველობაში, კულტურულ ავტონომიაში, თუ იმაში, რომ მთელი ერის ეკლესიის მწყეს-მთავარი-კათოლიკოსი სოფელში გაგდო და მსოფლი უმცირესობის ეკლესიის წარმომადგენელი ერთს დედა-ქალაქში ჩაახრჩო?

არც პრაქტიკას და არც სინამდვილეს საზღვრები „ერის ბუნებრივი უფლებისა“ არ შემოუფარგლავს; ხოლო ის კარგად ვიცით, რომ ყოველი პარტია პარტიის ყოველი კერძო პირი თავისებურათ და თავის სასარგებლოთ ხსნის და საზღვრავს „ერის ბუნებრივ უფლებას“.

„ერის ბუნებრივი უფლება“ არ უშლის ინგლისს ირლანდია დამონებაში იყოლიოს ინდოეთის 350.000.000 მცხოვრები თავის სურვილებისამებრ ათამაშოს, ჩინეთს ომი გამოუცხადოს, ოპიუმის შეტანას როგორ მიშლიო; „ერის ბუნებრივი უფლება“ ისე ესმის ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების უმწვერვალესად დემოკრატ მოქალაქეს რომ შავკანიანი მასთან ერთად ვერ უნდა დაჯდეს რკინის გზის ვაგონში და შავკანიანმა ვერ უნდა გაბედოს შეიყვაროს თეთრ-კანიანი ქალი...

ესეც არ იყოს, ჩვენ თუ ისე მივიღეთ თავისუფლება, როგორც რუსეთის კანონიერმა ქვეშევრდომებმა, მაშინ ჩვენ უნდა მივიღოთ ის ვალებიც, რომელნიც თავს აწევს რუსეთს და რომლის აღებასა და მოხმარებაში საქართველოს არაფერი მონაწილეობა არ მიუღია, ჩვენი ხვედრი ვალი კი 500 მილიონს აღემატება... ამგვარათ თქვენი მსჯელობა ყოველ ქართველს ისე დაავალიანებს, რომ წელს ვერ წამოიღებს და სამუდამოთ მონა გახდება უცხოთა კაპიტალისა.

მაგრამ ჩვენ თუ დაუმტკიცეთ ქვეყანას, მომავალ სამშვიდობო კონფერენციას, რომ ცალკე სახელმწიფო ვართ, მხოლოდ ერთგვარის ხელშეკრულობით (ტრაქტატით) შეერთებული რუსეთთან, მაშინ სამართლიანობა გვაშორებს ამ ვალსაც...

მოკლეთ, ერთის სიტყვით, ქართველ ერს აქვს უფლება, დამყარებული ტრაქტატზე, რომლის ღირებულება დღეს არ ჩამოუვარდება ინგლისის „მაგნა ჰარტა ლიბერტუმ“-ს, რომელიც ბოძებულია გვირგვინის მიერ, მაგრამ, რომელსაც ყოველი ინგლისელი თავგამოდებით იცავს; ჩვენი ტრაქტატი ისეთივე უფლება მოსილია, როგორც „დეკლარაცია მოქალაქის უფლებათა საფრანგეთში. ამ ტრაქტატით უნდა წარვსდგეთ ჩვენ, როგორც სწორუფლებიანი ერი საქვეყნო სამსჯავროს წინაშე. მთელმა ქვეყანამ უნდა გაგვასამართლოს და არა რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ, რადგან დამფუძნებელ კრების ყოველი წევრი დაინტერესებული იქნება ან, როგორც მომჩივანი და ან, როგორც მოპასუხე.

და მთელი ქვეყანა ვერ დაარღვევს კანონს, რომლის საშვალებითაც თვით იგი ცხოვრობს; მთელი ქვეყანა თვისი უკანონო გადაწყვეტილებით ძირს არ გამოუთხრის თვისი არსებობის საფუძველს...

იგი აღადგენს უფლებას საქართველოსას და მაშინ ორი სწორუფლებიანი, ერთგვარის კავშირი შეკრული რესპუბლიკა-დიდი რუსეთისა და რესპუბლიკა პატარა საქართველოსი-ძმურათ განაგრძობენ კულტურულ ცხოვრებას, ძველი რეჟიმის მიერ „დაკარგულ დროის ანაზღაურებას!

როცაკი საშვალება გვქონდა, გამოგვამჟღავნებია ჩვენი პროტესტი; ამის მოწმენი არიან აჯანყებანი 1804, 12, 32, და თვით 1905 წლის არეულობაში დიდი ნაწილი გაბორეტებისა ეროვნულ, ჩაგვრასაც შეჰქონდა.

ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე ათასობით ხელმოწერილი განცხადება შევიტანეთ ჩვენი უფლებების აღდგენის შესახებ...

თანაც სავსებით ვასრულებდით ტრაქტატას მიერ დაკისრებულ მოვალეობას: არ ყოფილა ომი რუსეთისა უცხო სახელმწიფოსთან, რომ საქართველოს შეძლებაზე მეტი მსხვერპლი არ შეეწიროს... უკანასკნელ ომში ხომ მკვიდრ რუსებს თუ გადავაჭარბეთ, თორემ არ ჩამოვრჩენივართ...

ახლდება რუსეთი. უკანონობა და ძალმომრეობა ადგილას უთმობს კანონსა და ადამიანობას... ჩვენ სხვისას არაფერს ვისაკუთრებთ. ჩვენი კი უნდა მოგვცეს გაღვიძებულმა რუსეთის სინიდისმა და ევროპის კანონიერების მოყვარეობამ.

მოგვცემს კიდევაც!

Argon.

## ქართული სამღვდელოება.

საკითხი, სრულიად ადვილად გადასაწყვეტი მსჯელობაში და ადვილად განსახორციელებელი, ცხოვრებაში. საკითხი, რომელსაც იმთავითვე დიდი სიძლიერე და მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა. სწორედ ეს საეკლესიო საკითხი რევოლუციის მეხუთე თვეშიც გადაუწყვეტელი რჩება. კიდევ მეტს ვიტყვით თვით დაყენება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხისა ფრიად მრუდედ და შეუფერებლად მოხდა. როდესაც ჩვენი ეკლესიის საქმეებში ისევ სინოდი და პეტროგრადის მთავრობა ჩარიეს. საერთო რევოლუციის დროს, როდესაც ფინეთი დამოუკიდებლობას ეტრფის და უკრაინა აშკარად ჯარებსა რაზმავს თვისი სუვერენობის დასაცავად, ჩვენ იმდენიც კი ვერ მოგვიხერხებია, რომ არა კანონიური და ყოვლად დასაგმობი აქტი გაგვებათილებინა, რომელიც ჩვენი ეკლესიის ცხოვრებას აბრკოლებდა. პირველ ნაბიჯის გადადგმისთანავე შეცდომა ჩავიდინეთ, გადამეტებულ თავაზიანობა გამოვიჩინოთ. აქ უნდა ვეძიოთ დასაბამი ისეთი მოვლენებისა, როგორიცაა ბენეშევიჩის საქართველოში მოქმედება და სინოდის კანტორის კარების დაკეტვა ქართველ სამღვდელოების ცხვირის წინ. რასაკვირველია ამასვე უნდა მიეწეროს იმედიანი მუშაობა, რომელსაც ეწევიან ვოსტორგოვის გაწვრთნილი შევირდები. თავიდანვე რომ რევოლუციურ გატაცებითა და გაბედულებით გვემოქმედნა, ძველი რეჟიმის დამხობასთან ერთად ეს ვაჟბატონები ჩვენს ეკლესიასა და საქართველოს სრულებით უნდა განშორებოდენ.

ეხლა საქართველოს სამღვდელოება უაღრესად მნიშვნელოვან კრებისათვის ემზადება. თბილისში თავმოყრილმა სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებამ ჩადენილი შეცდომა უნდა გაასწოროს და ზომები უნდა მიიღოს, რათა ყოვლის უწინარეს 1) განაგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის კანონიური ტერიტორიული სრულუფლებიანი ავტოკეფალობა დამოუკიდებლივ პეტროგრადის მთავრობისა და სინოდისა, რომელთა ჩარევა ავტოკეფალობის აღდგენის საქმეში წინასწარადვე ანტირევოლუციურ, ანტიკანონიურ და უსამართლო მოქმედებად უნდა გამოსცხადდეს. ასეთი ჩარევის წინააღმდეგ ქართველმა სამღვდელოებამ და ერმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოაცხადოს. 2) დაუყონებლივ არჩეულ იქნეს სრულიად საქართველოს კათალიკოსი სრული ძველი უფლებებით. საჭირო იქნება ადამიანი მტკიცე, ურყევი ნებისყოფისა, რომელიც გაამართლებს ჩვენს იმედებს ამ „ჟამსა განსაცდელისა“. 3) დაუყონებლივ ზომები იქნეს მიღებული უსამართლოდ მითვისებულ საეკლესიო სიმდიდრის შეძლებისამებრ აღდგენისათვის ქართველმა სამღვდელოებამ ქართველ ერში პატივი დაკარგა. ისტორია საშვალებას აძლევს დაიმსახუროს პატივისცემა თავისი რევოლუციური მოქმედებით ამ საერთო განთავისუფლების ხანში. გწამსთ, რომ საერთო რევოლუცია მოხდა? გწამსთ, რომ ყველანი თავისუფლდებიან? უნდა გწამდეთ ისიც, რომ ჩვენც შეგვფერის ვიმოქმედოთ გადაჭრილად, გაბედულად და მამულიშვილურად.

მედგარი.

## კლასთა ბრძოლა, ეროვნული კითხვა, ს. დემოკრატები და ფედერალისტები.

როგორც ვიცით, ჩვენი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, ევროპის დაწინაურებულ ერთა აზროვნების ზეგავლენით მოისურვა ქართულ ცხოვრებაში დაენახა იმგვარი ეკონომიური და სოციალური მოვლენანი, რომელნიც მართლა არსებობენ კონტინენტის ყოველ მხრივ განვითარებულ საზოგადოებაში, მაგრამ თითქმის ადგილი არა აქვსთ ქართულ, და სოციალურ განვითარების მხრივ, ჯერ კიდევ პირველ საფეხურზე მდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მთელი ყურადღება ჩვენმა სოციალისტებმა მიაპყრეს მარტოოდენ სოციალურ საკითხს, რომელიც დასავლეთ ევროპის რთულმა და განვითარებულმა ცხოვრებამ წამოაყენა. ეკონომიურ განხეთქილებისა და კლასთა შორის შეურიგებელი ბრძოლის გარდა, ვერაფერს ვერ ამჩნევდა ჩვენი, სოციალისტურ ლიტერატურაზე აღზდილი, ინტელიგენცია.

ადამიანთა საზოგადოება, სოციალისტური თვალსაზრისით, დაყოფილია ორ მთავარ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ბანაკათ, რომელთა შორის შეუწყვეტელი ქიშპობა და შეხლა-შემოხლა სწარმოებს.

კაცობრიობის მეტათ რთული და მრავალფეროვან, მთელი წარსულისა და აწმყო ცხოვრების საფუძვლათ მათ მიაჩნიათ ეკონომიურ მიზეზებით გამოწვეული ბრძოლა კლასთა შორის, რომელიც სწარმოებს ხან ფარულათ, ხან აშკარათ ხან შეგნებულათ და ხან კიდევ შეუგნებლათ, სტიქიურათ.

ეროვნებათა შორის განხეთქილება და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ხშირი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში, მათი შეხედულებით, გამოწვეულია მარტოოდენ მებრძოლ ეროვნებათა გაბატონებულ კლასების მიერ, მათი მერკანტილური სურვილების დასაკმაყოფილებლათ.

მათი აზრით აქ ორი განსხვავებული სახისა და განსაკუთრებული ეროვნული ინტერესების მქონე საზოგადოება კი არ უპირდაპირდება ერთმანეთს, არამედ ორი, პოლიტიკური და ეკონომიური პრივილეგიებით აღჭურვილი კლასი გამოდის სამრათ და იბრძვის მთელი ერის სახელით პირადი, კლასიური ინტერესების გულისათვის.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ უკიდურეს შეხედულებას არასოდეს არ ჰქონია დიდი გასავალი დაწინაურებულ ევროპის ცხოვრებასა და აზროვნებაში

თვით სოციალისტურ პარტიაში ყველა არ იზიარებს ამ ყალბს და ცალმხრივ შეხედულებას.

მართლაც, ყოვლად შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობა, რომ კლასთა ან წოდებათა დამოკიდებულება მარტოოდენ ქიშპობით და ერთი მეორესთან შეურიგებელი ბრძოლით ხასიათდებოდეს.

ჩვენი შეხედულებით, უფრო მუდმივ და ნორმალურ მოვლენათ, უნდა ჩაითვალოს საზოგადოების შემადგენელ სხვადასხვა სოციალურ ელემენტთა შორის თანამშრომლობა; ეკონომიურ, პოლიტიკურ, მეცნიერულ, ლიტერატურულ, ეროვნულ და სხვა ნიადაგზე.

დასავლეთ ევროპის ყველა მომქმედმა პოლიტიკურმა პარტიამ შეიგნო ეს ყველასათვის თვალსაჩინო ჭეშმარიტება და საჯაროდ აღიარა. რომ სოციალისტურ პრაქტიკასა და თეორიას შორის აშკარა წინააღმდეგობა არსებობს.

სოციალისტური თეორია სრულიათ არ შეესაბამება სოციალისტურ პრაქტიკას. სიტყვით სოციალისტები წმინდა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დგანან, მაგრამ, საქმით, პრაქტიკული მოქმედების დროს, ისინი ამ იდეას გვერდს უხვევენ და, ძალაუნებურათ, უფრო კი პარლამენტურ მოღვაწეობის დროს, კლასთა შორის თანხმობითი მოქმედების თანამშრომლობის, მიმდევრებად გამოდიან.

სწორედ აქიდან წარმოიშვა, ეგრეთ წოდებული კრიზისი საერთაშორისო სოციალიზმისა.

ვისაც სურდა წმინდა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე მდგარიყო, უარყო სოციალისტურ პარტიის პარლამენტში მონაწილეობის მნიშვნელობა და პირდაპირი მოქმედების (Action directe) გზას დაადგა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჯერ კიდევ ძალაშია ძველი, ტრადიციული სოციალიზმი მთელი თავისი შეურიგებელი და უკიდურესი ხასიათით.

რაც უფრო დრო გავა და რუსეთი დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოების გზას დაადგება, სოციალისტური პარტიები ნაკლებათ შეურიგებელი და რევოლუციური გახდებიან; მეტ მშვიდობიანობას და ლოიალობას გამოიჩენენ.

ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე მხოლოდ ის ითქმის განსაკუთრებით, რომ ჩვენმა ეროვნულმა დაკნინებამ და გადაგვარების ტენდენციამ მაზედაც იქონია გავლენა და იდეოლოგიურად ძაინც ანაციონალურ გზაზე დააყენა. ხოლო ჩვენი დემოკრატიის განვითარებამ, სისტემატიურმა და დაუცხრომელმა ბრძოლამ ეროვნულ ნიჰილიზმის წინააღმდეგ და აგრეთვე თვით ცხოვრების გამოცდილებამ იდეოლოგიური შეცდომანი თანდათან შეასწორა და ჩვენი დემოკრატიის არსებითად ეროვნული ხასიათი უფრო და უფრო გამოააშკარავა. ეროვნული ნიჰილიზმი დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. ეროვნულ თავისუფლების იდეა ყველამ იწამა.

ამას შემდეგ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენში მომქმედ ორ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, სოციალისტურ პარტიას სადაო აღარა დარჩენია რა. მათ შორის პრინციპიალური განსხვავება აღარ უნდა არსებობდეს.

როგორც ეროვნულ, აგრეთვე სოციალურ საკითხებშიაც ისინი ამ ჟამათ, დაახლოვებით, ერთსა და იმავე აზრისანი არიან.

მართალია, მათი სოციალ-ფილოსოფიური და ეკონომიური შეხედულებანი, ზოგიერთ შემთხვევაში განირჩევიან ერთმანეთისაგან, მაგრამ დღეს ერთისა და იმავე პარტიის წევრებიც კი იშვიათად ეთანხმებიან ერთმანეთს ამგვარ თეორეტიულ ხასიათის საკითხების ახსნა-განმარტებაში, მაგრამ ეს გარემოება მათ არ უშლის ხელს შედიოდენ ერთსა და იმავე პარტიაში და ერთად მოქმედებდენ (კაუტსკი და ბერნშტეინი, გედი და ჟორესისტები).

მაშ, რაშია საქმე, რატომ არ უღლდებიან ერთისა და იმავე სოციალურ და ნაციონალურ მიზნისაკენ მავალი პოლიტიკური პარტიები, სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები? ეს ხომ მათ საგრძნობლათ გაუადვილებდათ ბრძოლას და, მეორეს მხრით, იხსნიდა ქვეყანას პარტიულ არეულობა-დაქსაქსულობისაგან.

ა. თორაძე.

## სამი წელი სრულდება.

ხვალ, ივლისის ოცს, სამი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც მსოფლიო ომის ქარცეცხლი ამოვარდა.

სამი წლის განმავლობაში მთელი ქვეყნის განათლებული სახელმწიფონი ურთიერთ შორის სასიკვდილ-სიცოცხლო ომს აწარმოებენ. ომმა რამდენიმე საფეხური გაიარა, ბევრი სისაზარლე წარმოგვიდგინა მაგრამ ჯერ ლოღიკურ დასკვნამდე, უკანასკნელ წერტილამდე ვერ მიაღწია.

ომის უმთავრეს მამოძრავებლათ გამოვიდენ ინგლისი, გერმანეთი იაპონიადა საფრანგეთი. დანარჩენი სახელმწიფოები: რუსეთი, ავსტრო-უნგრეთი, ოსმალეთი, და წვრილ სამეფოები იძულებით და დიპლომატიურ წინდაუხედაობის გამო ჩაითრიეს სისხლის ღვრაში. მეტოქეობა მთავარ სახელმწიფოთა შორის შემდეგის სახის იყო: გერმანეთს მოსვენებას არ აძლევდა ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის სიძლიერე, საახალშენო პოლიტიკა და ზღვის მფლობელობა. თავის მხრით ინგლისიც გაფაციცებით უთვალთვალებდა გერმანეთს და მის აღმოსავლეთისკენ ხელის პოტინს ბიაზ მორეული უცქეროდა. საფრანგეთი ძველ ანგარიშებს იხსენებდა და სწამდა, რომ ომით იგი უთუოდ დაიბრუნებდა 1871 წელს დაკარგულ პროვინციებს. მადა გახსნილი თამამი იაპონია ავანტიურისა და შემთხვევით წაგლეჯის ფიქრით ჩაება ომში მეტოქე მხარეები ეკვეთენ ერთმანეთს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდის ომის სიმძიმე უმთავრესად იმ სახელმწიფოთა ზურგზე იყო, რომელნიც ომის ფაქტიურად გამომწვევნი არ იყვნენ, მაგ. სერბეთი, ბელგეთი, მთაშავეთი, რუმინეთი, ლუქსემბურგი და რუსეთი. მოქიშპე სახელმწიფონი ერიდებოდნენ საკუთარი ძალებით ერთმანეთთან შებმას და ერთმანეთის დასაუძლურებლათ გარეშე ძალებს იშველიებდენ.

ომმა თავის მიმდინარეობაში ბევრგვარი ახალი მოვლენა და პერსპექტივები შექმნა. ვიდრე ომისგან გამოწვეულ ცვლილებებს შევეხებოდეთ, საჭიროა დავასახელოთ, თუ რამდენათ დაიკმაყოფილეს თავი დიდმა სახელმწიფოებმა დღემდის რამდენათ დაუახლოვდენ საწადელს. ურთიერთის დაუძლურება მომხდარი ფაქტია. გერმანეთმა აფრიკაში დაკარგა ახალშენები და გამოეთხოვა ცინდაოს, სამაგიეროთ ომის ძალით დაეუფლა ბელგეთს, ლიუქსემბურგს, რუსეთის 18 გუბერნიას, საფრანგეთის 5 დეპარტამენტს და ბალკანეთის ნაწილს რუმინეთით. ინგლისმა ყველაზე დიდი ზარალი ნახა, მისი სავაჭრო და სამრეწველო ფლოტი თითქმის განადგურდა. ინგლისმა ამ ომით აღმოსავლეთ აფრიკის ახალშენები მოისაკუთრა. საფრანგეთს არაფერი სარგებლობა არ უნახავს პირიქით ისტორიულ დაკარგულ ტერიტორიასთან ერთად კიდევ ხელიდან გაუსხლტა სამი დეპარტამენტი. დიდათ ისარგებლა იაპონიამ. ის უცბათ ჩაერია ომში, ცინდაო წაართვა გერმანეთს და ომს გამოეთიშა.

ომმა მთელი თავისი სიმწვავით დააყენა ეროვნული კითხვა და მისი დაუყონებლივი გადაჭრა მოითხოვა. ბოლოს ომი ეხეთქა ბუმბერაზ რუსეთის თვითმპყრობელურ წესწყობილებას და დაამხო იგი.

იმავე ომმა შავ სუდარაში გახვია და დამოუკიდებლობა წაართვა რამდენიმე ნაკლებ ძლიერების მქონე ერს.

ასეთია ზოგადი მიმოხილვა 1914 წ. ივლისის 20-დან 1917 წლის ივლისის 20-მდე.

სჩანს საზარელი ომი მეოთხე წელში გადადის. სახელმწიფოები უკიდურესათ მოიქანცენ ომით, ნივთიერად გაღატაკდენ. საკითხავია: როგორ-ღა განაგრძობენ ომს?

გვგონია, რომ ომი აწ დიდხანს ველარ გასტანს, ან თუ გაგრძელდა, მას ექნება უფრო, პასიური ხასიათი და არა აქტიური.

კაცობრიობამ ომის უარყოფითი ნაყოფიც საკმაოთ ნახა და მისგან მოძღვნილი სარგებლობაც მიიღო.

ომმა საერთო განახლება შეიტანა საერთაშორისო ცხოვრებაში. იგი განწმენდის ქარიშხალსავით დაჰქრის ყველგან.

უკანასკნელ დროს მსოფლიო ომის სავალი გზა გახლართა რუსეთის რევოლუციამ.

რუსეთის რევოლუციურმა დემოკრატიამ ჰუმანიური იდეალები წამოაყენა და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისკენ მოუწოდა მეომარ ქვეყნებს. მაგრამ ამ მოწოდებამ მეომარ სახელმწიფოებში გამოძახილი ვერ ჰპოვა.

ინგლის-საფრანგეთი ძველის აღთქმით მიუძღვებიან ომს.

ინგლისური გაზეთი „მორნინგ პოსტი“ სწერს: „უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ყოვლად შეუძლებელია. ეს რევოლუციურ რუსეთის ნაკარნახევი კი არ არის, არამედ გერმანეთის გეგმააო.“

ომის ცენტრი და სიმძიმე ამ ხანათ უმთავრესად რევოლუციურ რუსეთის ასპარეზზეა. მოკლე დროში აქ მოელიან საერთო მნიშვნელობის ამბებს.

— —

ამ მსოფლიო ომში მონაწილეა ჩვენი პატარა სამშობლოც. საქართველომ რუსეთის სხვადასხვა საომ ასპარეზებზე სამასიათასი რჩეული ვაჟკაცი გააგზავნა. ბევრი რჩეული ვაჟკაცი გაგვეწირა.

დღეს საქართველო შავებით არის შემოსილი, მაგრამ იმედობს იმით, რომ რუსეთში დამყარებული თავისუფლება მას უსათუოდ აუხდენს ეროვნულ საწადელს.

დახოცილ გმირთა სულები გვავალებენ, რომ მათმა ზღვა სისხლმა ტანჯულ საქართველოს ნაყოფი მოუტანოს.

ეს ასე მოხდება, თუ ყველა ქართველნი ერთის მიზნით გავიმსჭვალებით და სამშობლოს საშველათ საერთო ძალით ავმოქმედდებით. სალამს მოუძღვნით

ჩვენს ძვირფას ძმებს, რომლებიც ეს მე-4 წელია ლომგულად იბრძვიან სამშობლოს გარეთ და სწამთ, რომ მათ მრავალ-წამებულ საქართველოს ბრწყინვალე მომავალი ვაუთენდება.

დ. ს.

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს

დეპეშები

ფლოტის მთავარი კომიტეტი.

**პეტროგრადი**. ივლისის 15. შეიმუშავეს წესდება ყველა ფლოტების საერთო მთავარი კომიტეტისა, რომელსაც რუსეთის ოთხივე ფლოტი დაემორჩილება.

შრომის მინისტრის ამხანაგი.

**პეტროგრადი**. ივლისის 15. შრომის მინისტრის მესამე ამხანაგად ნაფ. ვექილი ნიკიტინი დაინიშნა.

დამფუძნებელი კრების გარშემო.

**პეტროგრადი**. ივლისის 16. დროებით მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიანდო დამფუძ. კრების არჩევნებში საჭირო მასალების დამზადება და ტეხნიკურ სამუშაოებში ხელმძღვანელობა. სამრეწველოებმა არჩევნებისთვის საჭირო შენაკვეთების დამზადებას. უნდა მისცენ უპირატესობა შინ. საქმეთა მინისტრს უფლება აქვს სხვადასხვა საჭირო მასალის რეკვიზიცია მოახდინოს. საარჩევნო ხარჯების დასაფარავად გადაიდვა 7 მილიონი მანეთი.

მეზღვაურთა ყრილობა.

**პეტროგრადი**. ივლისის 16. გაიხსნა სრულიად რუსეთის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა ყრილობა. უკვე ჩამოვიდა 82 დელეგატი და 26 ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ყაზახთა ყრილობა.

**ნოვოჩერკასკი**. ივლისის 16. შესდგა დონის ოლქის ყაზახთა სარაიონო ყრილობა, რომელზედაც ბოლშევიკების გამოსვლები სასტიკად გაჰკიცხეს და დაადგინეს „შეტევის ბატალიონები“ შეადგინონ.

გერმანელთა მთახლოვება.

**ბერდიჩევი**. ივლისის 16. კამენეც პოდოლსკში ყრუდ ისმის ზარბაზნების განუწყვეტელი სროლის ხმა.

ბოლშევიკების განდევნა.

**სტოკჰოლმი**. ივლისის 16. რუს ემიგრანტთა კომიტეტმა თავის წრიდან გამორიცხა ბოლშევიკები ფიუსტენბერგი და განეცკი.

სინიდისის თავისუფლების კანონი.

**პეტროგრადი**. ივლისის 14. დროებით მთავრობამ დაადგინა: 1) უზრუნველ იქმნას რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეთათვის სინიდისის თავისუფლება. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მიღება ამიერიდან დამოუკიდებელია სარწმუნოებისაგან, სარწმუნოების გამო არავის უფლება არ შეიზღუდება. 2) მცირე წლოვანთა სარწმუნოება (9 წლამდე) დამოკიდებულია დედმამის მიერ, — თუ დედმამა ვერ შეთანხმდა მაშინ ბავშვმა მამის სარწმუნოება უნდა მიიღოს. მშობელთა გაყრისას ბავშვი მიიღებს იმ მშობლის სარწმუნოებას, რომელთანაც დარჩება 3) უდედმამობის გამო ბავშს შეუძლია ამყვანის ანუ აპეკუნის სარწმუნოებაზე გადავიდეს 4) 17 წლიანს თავისი ნებით შეუძლია სარწმუნოების მიღება მთავრობის დაუკითხავათ და უგანაცხადებოდ. 5 მცირე წლოვანი (9 წლამდე), თუ მათი დედმამა რომელიმე სარწმუნოებაზედ გადავიდა შეუძლიათ იმავე სარწმუნოების მიღება, ხოლო მშობელთა უთანხმოების გამო, შეუძლიათ კვლავ ძველებური სარწმუნოება აღიარონ. 6) 9 წლისაზედ დიდ მცირეწლოვანთა გადაყვანა ახალს სარწმუნოებაზედ მათ (?) დაუკითხავად არ შეიძლება. 7) იმ პირთა ქონების აქტები, რომელნიც არც ერთს სარწმუნოებას არ ეკუთვნიან იწარმოებენ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთი 1906 წელს ივანობისთვის 17-ის მე-2 ე ბრძანებით.

მოსკოვის თათბირი.

**პეტროგრადი**. ივლისის 15. სარწმუნო წყაროებით იტყობინებიან, რომ მომავალ მოსკოვის თათბირს არავითარი კავშირი არა აქვს მთავრობის კრიზისთან. კრების მიზანია დაიცვას ის პროგრამა, რომლითაც დღემდე კოალიციური სამინისტრო ხელმძღვანელობდა.

# თანამოაზრე მოსწავლე ახალგაზდების საყურადღებოთ.

(განურჩევლად სქესისა), ვისაც სურს პროპაგანდისტთა სკოლაში ჩაწერა, გთხოვთ შამოიაროთ პირობების გასაგებათ და სკოლაში ჩასაწერად „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდი.

# ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დეპეშები.

ირლანდიის კონვენტი გაიხსნა

ლონდონი. ივლისის 23. დუბლინში ახლად გახსნილმა ირლანდიის კონვენტმა, თავმჯდომარედ ამოიარჩია მორასა ლენკეტე, რომელიც დიდი ხნობით ხელს უწყობს ირლანდიელთა პოლიტიკურ ცხოვრებას.

უკრაინის გენერალ სეკრეტარი

კიევი. ივლისის 15. ცენტრალ რადის კომიტეტმა პირდაპირი ხმის მიცემით გენერალ სეკრეტარიატი ამოირჩია. სეკრეტარიატის შინა საქმეთა თავმჯდომარეთ ვინიჩენკო ამოირჩიეს.

ებრაელები და საერთაშორისო კონფერენცია.

სტოკჰოლმი. ივლისის 15. ჰოლანდია— სკანდინავიის კომიტეტმა მიიღო ებრაელთა ეროვნული სოციალისტურ მუშათა პარტიის წარმომადგენლები, რომელნიც ებრაელთა სრულ თანასწორობას მოითხოვენ ყველა სახელმწიფოებში.

რუსეთის სესხის საქმე ფინეთის სეიმში

ჰელსინგფორსი. ივლისის 15. სეიმმა მესამე კითხვაზე რუსეთის სავალიუტო სესხის კანონ პროექტი არ მიიღო. სეიმმა ფინეთის ბანკს რუსის ვალიუტაზე 100 მილიონ მარკის გაცვლის ნება მისცა.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

ფინეთის დამოუკიდებლობის აქტი.

როგორც პეტროგრადიდან დეპეშით იტყობინებიან დროებით მთავრობა განსაკუთრებულ აქტს ამზადებს ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ.

ახალი უკრაინული პოლკები.

რუმინეთის ასპარეზზე არმიის ერთ უფროსს უკრაინელს შეუდგენია უკრაინელთაგან ცალკე პოლკები, რომლისთვისაც „განდილეცკის კურენები“ დაურქმევია.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

დეპეშები.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. ივლისის 16. ბალტიის სანაპიროებისა და მდ. პრიპეტის შუა სროლა და მფრინავთა მოქმედებაა გალიციაში ზბორაჟის დასავლ. მტრის იერიში მოვიგერიეთ. ტარნოპოლის მიმართულებით მტერმა ოხრომოვცე-რომანოვკა-ქესუბკი-კოლოდუვკა-ნოენკა გოტმაოპაელენერკა- სოროკი-ოგულეეცის ხაზს მოაღწია. გურიატინის დასავლ. მტრის დატანებით ჩვენმა ჯარმა ლიბარუვდენბოვკას ხაზი მიატოვა. ზალეშჩიკის დასავლეთით მტერმა დაიპყრო ოსიენუკი, პოლპი და იპოროვცე. კარპატებში კომპეტკისა და კირლიბას მთის მიდამოებში მტერმა რამდენიმე იერიშით ჩვენ ჯარს უკან დახევინა.

რუმინეთის ასპარეზი

კეხდი-ბეზარგელმის მიმართულებით რუმინელებმა წინ წაიწიეს და მენესტრიკა-კაშიპულის დრაგოსლოვ-ვალეა სერეის მაღლობებს 2 ვერსით გასცილდნენ.

კავკასიის ასპარეზი

არსებითი არაფერი მომხდარა..

დასავლეთის ასპარეზი

ლონდონი. ივლისის 16. იპრთან მოდა რაჯე რაზმების შეტაკების დროს 47 კაცი დავატყვევეთ. ლისში და რამდენიმე სხვაგანაც ორივე მხრით არტილერიის სროლა გაცხოველდა და ინგლისელთა მფრინავებმა ფოტოგრაფის საშუალებით გადაიღეს და ზვერილი ადგილები, გერმანელთა ჰაეროდრომში ყუმბარები ჩამოყარეს, გერმანელთა 15 საფრენი ძირს ჩამოაგდეს, 16 დააზიანეს; ჩვენ 3 საფრენი გვაკლია.

პარიზი. ივლისის 16. მთელ ბრძოლის პირზე ზარბაზნების ძლიერი სროლაა.

ლონდონი. ივლისის 16. გუშინ სალამოთი არმანტიერის სამხრ. მტრის სანგრებში შეუცვივდით. პოსტავორის ალმ. მტრის იერიში მოვიგერიეთ. არმანტიერის ახლომახლო, იპრის ჩრდილოეთით და ნიუპორტის სექტორში ზტრის არტილერიამ მოქმედება გააძლიერა.

პარიზი. ივლისის 15. დღემ შედარებით წყნარად ჩაარა, მხოლოდ აილისა იურტებიზის მიდამოებში და მდ. მაასის ორივე ნაპირებზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლა მოხდა.

იტალიის ასპარეზი.

რომი. ივლისის 15. გუშინ კუპიატორკა-ბალაროას შორის ზემო დოპიას, რომ ბოპისა დასოფაიტის მიდამოებში არტილერია ორივე მხრით მძლავრად მოქმედებდა. ჩვენმა მფრინავებმა სანტალუჩიასა და ბასდიბოდერას შუა რკინის გზებს ყუმბარები დაუშინეს.

ბალკანეთის ასპარეზი.

პარიზი. ივლისის 15. ვარდარის მიდამოებში ზარბაზნების სროლაა. კაპრავინის მიდამოებში სერბელებმა მტრის პატრულები გაჰფანტეს. მონასტრის ახლო მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ზღვაზე.

ლონდონი. ივლისის 16. ოფიციალი. ივლისის 9 ხმელთა შუა ზღვაში იაპონელთა სამხედრო კემებმა შენიშნეს გერმანელთა წყალქვეშა, რომელსაცა სროლით პერისკოპი გაუტეხეს. წყალქვეშა უეჭველია დაიღუპებოდა.

ჟ ურნა ლ-გ ა ზ ეთ ებიდ ა ნ

მიტოვებული პოზიციები.

მდ. სტრიპაზე რომ რუსის ჯარმა პოზიციები მიატოვა ვერდენის სიმაგრეების სახით ყოფილა გაკეთებული და ჯარი რომ დარჩენილიყო, დიდათ გამოიყენებდა მათ. ხვრელები 6 ვერსტის მანძილზე ყოფილა გაკეთებული

რუსეთის მდგომარეობა გენ. კორნილოვი.

გენ. კორნილოვს გაზ. „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტისთვის უთქვამს: ადამიანის უბრალო გონებას ვერ შეუძლია შეიგნოს ის უბედურება რაც რუსეთს თავს დაატყდა. ჩვენი ჯარის 1915 წელს მდ. ხსანზე დამარცხება, რომელსაც დასავლეთ გუბერნიების დაკარგვა მოჰყვა, მოსატანიც კი არ არის ამასთან, რაც ეხლა გვემართება.

# ომის გარშემო.

საშიში ამბები

გალიციაში მდ. სტრიპაზე რუსის ლაშქარმა უბრძოლველათ მიატოვა ფრანგ ინჟინრებნს მიერ აგებული ჯავშნიანი სიმაგრეები, 6 ვერსტის მანძილზე.

ქ. კომენეც პოდოლში

ქ. კომენეც პოდოლში მცხოვრებლები დიდ შიშში იმყოფებიან. ყოველ დღე მოელიან ქალაქის ბრძოლის ასპარეზათ გადაქცევას. ფრონტიდან გამოქცეული ჯარი ძარცვავს ქალაქს.

როგორ იხევენ უკან?

ჩრდილო დასავლეთის ფრონტზე რუსის ლაშქარი სრულიად უწესრიგოთ გამორბის უკან. მტრის ხელში სტოვებს სურსათს, იარაღს და აურაცხელ ტყვეებს. მოსკოვის გაზეთები სწერენ: ის უბედურება რომელიც ამ ჟამათ რუსის მხედრობას მოევლინა ენით მოუთხრობელია და კალმით აუწერელია.

დრ. მმართ. კომისარის მოკვლა.

მოლოდეჩნოსთან გადამდგარ პოლკის ჯარის კაცებმა მოჰკლეს დრ. მმართველობის კომისარი კალინინი.

კავკასიელთა და პოლონელთა სიმამაცე.

პრეხოვცესთან ბრძოლის დროს რუსის ლაშქარმა მტერს ზურგი უბრუნა. ამ დროს გამოჩნდენ კავკასიელები და პოლონელები, რომლებიც ლომებრ ეკვეთენ ძლევამოსილებით წინ მომავალ გერმანელებს და დიდის ზარალით უკუ აგდეს გენერალი კორნილოვი აღტაცებაში მოვიდა კავკასიელთა და პოლონელთა ვაჟკაცობით და ცრემლ მორეულმა მათ მხურვალე მადლობა მიუძღვნა.

# უკანასკნელი ამბები.

ბოლშევიკების გაქცევა.

ლენინი შვეციაში გაქცეულა. რუსეთიდან გპარულა აგრეთვე ბოლშევიკი როშალი. რუმინოვი და რასკოლნიკოვი დაატუსაღეს.

ბოლშევიკების საქმე.

პროფესორები რომელთაც მონდობილი აქვთ ბოლშევიკების საქმის გარჩევა, დღე-და-ღამ დაუღალავად მუშაობენ. ხანდახან სასამართლოშივე იძინებენ.

დახოცილი ბოლშევიკები და ყაზახები.

ივლისის 3-5 ამბოხებაში დახოცილ ყაზახთა დაკრძალვის დროს ბოლშევიკებს განზრახვა ჰქონდათ თავის დახოცილი ამხანაგებიც ზეიმით დასაფლავება, მაგრამ მთავრობამ ხელი შეუშალა.

კერენსკისა და სარდლების თათბირი.

კერენსკი მთავარ ბანაკში გაემგზავრა. იქ მას თათბირი ექნება მთავარსარდლებთან და სხვა სარდლებთან. ამ თათბირის შემდეგს კერენსკი მოახსენებს მოსკოვის მომავალ ყრილობას.

კონტრევოლუციური პროპაგანდა.

საბჭოების ალმ. კომიტეტების სხდომებზე გამოაშკარავდა, რომ კონტრევოლუცია ფაქტიურად დაიწყო; პეტროგრადის მეციხოვნე ჯარში უკვე ეწევიან ქადაგებას არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. ამ დღეებში აღმოუჩენიათ საიდუმლო სტამბა, რომელშიაც კონტრევოლუციური პროკლამაციები იბეჭდება.

რეაქციონური სული ჯარში.

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ მეციხოვნე ჯარში რეაქციონური სული გაიზარდა, რის გამოც არის მოწვეული მოსკოვის მომავალი ყრილობა. ამბობენ მთავრობაც მოსკოვში გადავაო.

ლენინის გაპარვა.

„ბირჟევია ვედომოსტ“ ის ცნობით ლენინი გერმანეთში გაქცეულა სამხედრო აჯანყების დროს ლენინი კრონშტადში ყოფილა. კრონშტადტიდან ლენინი მატროსის ტანთსაცმელში გადაცმული მეზღვაურებს ჰელსინგფორსში გადაუყვანიათ ჰელსინგფორსიდან კი გერმანეთის ელჩის დახმარებით გერმანეთში გადასულა.

შეთანხმება.

როძიანკოს ბინაზე მოხდა დიდმნიშვნელოვანი შეთანხმება თავად ლვოვს, კერენსკის და როძიანკოს შუა.

კადეტები სამინისტროში.

მოხდა შეთანხმება დროებით მთავრობას და კადეტებს შორის. პროგრამად მიღებულია პირველი დროებითი მთავრობის დეკლარაცია. კადეტების მხრივ დროებით მთავრობაში შევლენ ნაბოკოვი— იუსტიციის მინისტრად, კიშკინი—შინაგან საქმეთა მინისტრად, ნოვგოროდცევი— სახალხო განათლების მინისტრად, კოკოშკინი—სინოდის ობერ-პროკურორად, ასტროვი—სახელმწიფოს მეთვალყურედ, ტრეტიაკოვი—მრეწველობის მინისტრად. სამხედრო მინისტრად რჩება კერენსკი, მის ამხანაგებათ დაინიშნებიან გენერლები რუზსკი და გურკო.

რეაქციის დაწყებაზე.

გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“ ფიქრობს, რომ დაწყებულ რეაქციას მიზნად აქვს ბურჟუაზიის ბრძანებლობის აღდგენა.

# ახალი ამბავი

✦ არჩევნების გარშემო. ქალაქის მოურავი ბ-ნი ილია ჩიქოვანი აცხადებს საარჩევნო სიების სხვადასხვა ჯგუფებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა წარმოადგინონ 10 დღის განმავლობაში, სახელდობრ 26 ივლისამდე, ქალაქის არჩევნები მოხდება აგვისტოს 6—ს.

✦ სოხუმის არჩევნები დასრულდა საქარ, ეროვ. დემოკრატიულ პარტიამ ორი ხმოსანი გაიყვანა: ნ. თავდგირიძე და ა. შერვაშიძე.

✦ სობრიევსკის გადაყენება. ქუთ. საგუბერნიო ალმ. კომიტეტმა ივლისის 17-ს სხდომაზე დაადგინა, დაუყოვნებლივ გადაყენებული იქმნას ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი სობრიევსკი. საგუბ. ალმ. კომიტეტმა სობრიევსკის თანამდებობის მიღება სთხოვა ბ ნ ილია ჩიქოვანს. ილია ჩიქოვანმა მადლობა გადუხადა ნდობისათვის ალმ. კომიტეტმა მხდომას და მოახსენა, რომ საბოლოო პასუხს სობრიევსკის მოვალეობის კისრების შესახებ ამ ორდღეში განვაცხადებო.

— დანიშვნა. საგუბერნიო კომისარის ამხანაგათ დაინიშნა ბ-ნი ნ. ქიქოძე.

— სიმხურვ. ქუთაისის განაპირა უბნებში ფერმასა და ჰომაში ლამლამობით სრული სიბნელე სუფევს.

— ოსმალთა წყალქვეშები შავ ზღვაზე. პეტ. ღეპ. საგ. ცნობით, უკანასკნელ ხანებში შავ ზღვაზედ ოსმალთა წყალქვეშა ნავები დათარეშობენ, ამის გამო გემთა მიმოსვლა დროებით შეჩერებულია.

✦ ქართული სამხედრო კავშირი ქ. გუმბრში. ქ. გუმბრში შესდგა ქართველთა სამხედრო კავშირის კომიტეტი გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია სამხ. ექიმი ჩხეიძე, მდივნათ ჯარის კაცი ნიკ. ასათიანი, მოლარეთ პოდპ. მოდებაძე და გამგეობის წევრებათ პრაპ. ქელბაქიანი და ჯ.-კაცები მატახელია, კოტრიკაძე და ნარუნდოშვილი. კომიტეტმა დაადგინა გახსნას ქართველი ჯ.-კაცებისათვის სამკითხველო და დაარსოს წერა კითხვის კურსები, რომ უცოდინარო ქართველ ჯარის კაცებს შეძლება მიეცეს წერა-კითხვის შესწავლისა.

✦ სასურსათო საქმე. ქუთ. სასურსათო კომიტეტმა მიიღო 2 ვაგონი ხორცი, 2 ვაგონი სიმინდი და 4 ვაგონი ფქვილი.

საჩხერის ალმ. კომიტეტი ატყობინებს ქუთ. სასურსათო კომიტეტს, რომ იქ სრული შიმშილობაა და საჭიროა შორაპანში მისული 19 ვაგონი სიმინდი საჩხეროთ გადაეცეს საჩხერის ალმ. კომ.

ქუთაისის სასურსათო კომიტეტმა მიიღო აგრეთვე 10 ვაგონი პურის ფქვილი. სასურსათო კომიტეტმა 1 ვაგონი გაგზავნა ჩხარში ხოლო ორი ვაგონი სამტრედიაში.

✦ მილიციის გარშემო. ქუთაისის საგუბერნიო ალმ. კომიტეტის ივლისის 17-ს სხდომაზე ბ-ნ გრ. ურატაძემ წარმოადგინა ინსტრუქცია მილიციის შესახებ. თბილისში მომხდარა თათბირი კავკასიის ლაშქრის სარდლის თანადასწრებით და დაუდგენია, მილიცია ცნობილ იქნეს, როგორც თავდაცვისთვის მომქმედი ორგანო და მილიციაში შესულ სამხედრო ბეგარა ეპატიოთ. დეზერტირებს მილიციაში არ მიიღებიან, მხოლოდ თუ ასეთები ამ ჟამათ არიან მილიციაში, მათ ადგილზევე დასატოვებლათ შუამდგომლობა იქნება აღძრული.

**პროვინცია.**

✦ ბაღდადის ამბები. ბაღდადში კვირას ივლისის 17-ს ექსცესები მოხდა. როგორც იქიდან მოსულები ამბობენ ჯარისკაცთა ერთი ნაწილი დაბის დარბევას აპირებს. ამის გამო მუშათა საბჭომ ბაღდადში გაგზავნა ბ-ნი მ. აბულაძე.

✦ უბედური შემთხვევა. ივლისის 17-ს სადგ. სუმბათოვოდან ბორჯომისკენ მიმავალმა მატარებელმა გასრისა ერთი რკინის გზის მუშა.

## საგუბერნიო ალმ. კომიტეტის პირველი სხდომა.

ორშაბათს, ივლისის 17-ს, საგუბერნიო სამმართველოს შენობის დარბაზში საღამოს 8 საათზე მოხდა ახლად შემდგარ საგუბერნიო ალმ. კომიტეტის პირველი სხდომა *) პირველ კრებას დაესწრო 36 კაცი. კრება გახსნა საგუბერნიო ალმ. კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა გრ. ურატაძემ. განსახილველად წარმოდგენილი იყო შემდეგი კითხვები:

1. ალმ. კომიტეტის საბჭოს ორგანიზაცია, 2. მდივნის არჩევა, 3. ბინის კითხვა, 4. სვანეთის ამბები, 5. საგუბ. ალმ. კომიტეტის კომპეტენცია, 6. დამფუძნებელ კრებისთვის სამზადისი.

ალმ. კომიტეტის საბჭოს ორგანიზაცია შემდეგ ნაირად მოეწყობა. სხდომები გაიმართება კვირაში ორჯერ, ორშაბათობით და პარასკეობით საღამოს 7 საათზე ახალ დროთი. ყოველ სხდომას უნდა ესწრებოდეს არა ნაკლებ 20 კაცისა (მთელი კომიტეტი 38 კაცისგან შესდგება) მაზრებიდან ჩამოსულ დელეგატებს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებათ) მიეცემათ ჯილდო (დღიური) 10 მან. დღეში. საგუბენიო ალმ. კომიტეტის ადგილობრივ წევრთ შრომისთვის საფასური არ ეძლევათ.

ბ-ნმა გრ. ურატაძემ კომიტეტის წევრებს მოახსენა, რომ საგუბერნიო ალმ. კომიტეტს საჭირია მუდმივი მდივანი (ერთი ან ორი). ათათბირეს მდივნის ჯამაგირზე. მაქსიმუმ ჯამაგირათ ერთხმად დაადგინეს 300 მან. მდივნის საბოლოო არ-

*) სხდომაზე წარმომადგენლები არ გამოუგზავნია ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას.

ჩვეანი პრეზიდიუმს დაევალა. საგუბ კომიტეტის ბინის ამორჩევა დაევალა ცალკე კომისიას, რომელმაც უნდა დაათვალიეროს გუბერნატორის სახლი, საგუბერნიო მართველობის შენობა და ამოარჩიოს შესაფერი დარბაზი.

სვანეთის შესახებ. ალმაშფოთებელი და დამაფიქრებელი ამბები აუწყა ბ-ნმა გრ. ურატაძემ კრებას სვანეთის შესახებ. წაკითხული იქმნა დეპეშები ზუგდიდის, ცაგერის კომისრების და გენ. დუმოვსკის. ესენი იწერებიან, რომ შეიარაღებული სვანები თავს ესხმიან ყაბარდოსთან ყარაჩაელების მწყემსებს და მიერეკებიან საქონელს. სვანებს დავა აქვთ აგრეთვე მეგრელებთან საბალახოს შესახებ. მდგომარეობა ისე გამწვავებული და სეზოიზური ყოფილა, რომ მოსალოდნელია დიდი სისხლის ღვრა.

ბ-ნმა ლევ. დადეშქელიანმა კომიტეტის წევრებს გააცნო სვანეთის ბუნება, განსაკუთრებული პირობები და დაბეჯითებით აღნიშნა, რომ სვანეთში შეიარაღებული ძალის გაგზავნა ყოვლად შეუძლებელია და ასეთი ზომა ცუდ შედეგამდე მიგვიყვანსო. ასეთივე აზრი გამოსთქვა გრ. ურატაძემ. მათ აზრს მიემხრო თითქმის ყველა წევრი. კრებამ დაადგინა, რომ სვანეთში გაიგზავნოს ქართულ პოლიტიკურ პარტიათაგან თითო კაცი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები და მშვიდობიან გზით ფართე აგიტაცია გასწიონ სვანების დასაწყნარებლათ.

ბ-ნი ილია ჩიქოვანი, ზაქარია მაჭავარიანი და გრ. ბარათაშვილი განმარტავენ რომ სვანეთის კითხვა მეტად საშიშია და ამიტომ ზომები მეტად საჩქაროთ უნდა იქმნას მიღებულიო. სხდომამ დაადგინა ეს კითხვა მეორე დღესვე გაერჩია და სვანეთში გასაგზავნ წარმომადგენელთა საქმე. წასვლის ხარჯს საგუბ. ალმ. კომიტეტი მიიღებს.

თავმჯდომარემ გრ. ურატაძემ წამოაყენა მე-5 კითხვა საგუბერნიო ალმ. კომიტეტის კომპენტენციის შესახებ და მოუწოდა კომიტეტის წევრებს გამოეთქვათ სახელმძღვანელო აზრი კითხვის გასაშუქებლათ ილაპარაკა ბ. გრ. გიორგაძემ, და აღნიშნა, რომ საგუბერნიო ალმ. კომიტეტი არის აღმასრულებელი ორგანო ამიერკავკასიის სავანგებო კომიტეტისა. მაგრამ ადგილობრივათ იგი დამოუკიდებლათ განაგებს საქმეს,

საგუბერნიო ალმ. კომიტეტს ევალება გუბერნიის სამეურნეო ნაწილის გამგეობა. რაც შეეხება ადმინისტრატიულს და მილიციის საქმეთ ამას განაგებს გუბერნიის კომისარი საგუბ. ალმ. კომიტეტის კონტროლის ქვეშ. სხვა ორატორები ამბობდენ, რომ რადგან კავკასიაში ერობა არ არის, ამიტომ საგუბ. ალმ. კომიტეტმა ამჟამათ მისი ადგილი უნდა დაიკავოსო.

ბოლოს მუხლობრივ განიხილეს თუ რა უფლება ენიჭება საგუბ. ალმ. კომიტეტს.

ამ საგანზე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ილია ჩიქოვანმა. გამოირკვა, რომ დღეიდან უქმდება საგუბერნიო სამმართველო და ყოველივე საქმე გადადის. ალმ. კომიტეტის ხელში.

დასასრულ წაიკითხეს დეპეში დამფუძნებელ კრებისთვის სამზადისის შესახებ და შემდეგ სხდომისთვის დაადგინეს ამორჩეულ იქმნას ცალკე საგუბერნიო საარჩევნო კომისია. აგრეთვე დაადგინეს ალმ. კომიტეტი დაიყოს რამდენიმე სექციად. სხდომა დასრულდა ღამის 1 საათზე.

სხდომაზე ლაპარაკი რუსულ ენაზე იყო ერთი ორი ორატორი ლაპარაკობდა ქართულად. სხდომას საერთოდ საქმის ხასიათი ჰქონდა.

## იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების პირველი ავტოკეფალური კრება.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის იმერეთის საეპარქიო განყოფილების სამმართველოს მოწოდების თანახმად, შესდგა მთელი ეპარქიის სამღვდ. და ერის წარმომადგენელთა, დღიდან რევოლუციის დაწყებისა, პირველი საეპარქიო კრება, რომლის თავმჯდომარეთ ხმის უმეტესობით. არჩეული იქმნა მღვდ. იოსებ წერეთელი, მის ამხანაგათ მღ. სიმონ ჭელიძე, ხოლო მდივნათ მღ. გერვასი ბარათაშვილი, და მედავითნე პლატონ ჯიშკარიანი.

თავმჯდომარე მღვდ. ი. წერეთელი მიმართავს კრებას მისასალმებელი სიტყვით და დიდს სიხარულს გამოსთქვამს, რომ ამ 117 წლის განმავლობაში პირველათ დღეს ეძლევა შემთხვევა. ერის წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა მშობელი ეკლესიის მართვა-გამგეობის მოწესრიგებაში, რაიცა სავსებით უნდა მიეწეროს ამ ჟამად მომქმედ დიად რევოლუციასო. მისალმებას კრება მხურვალე ტაშისცემით მიეგება.

ამის შემდეგ კრება გადადის მორიგ კითხვების განხილვაზე. სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრის, ბ. სერგო გორგაძის მიერ წაკითხულ ლექციას (ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე) მოსმენისა და პატივცემულ ლექტორისთვის მადლობის გამოცხადების შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი:

საეპარქიო კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება მიეცეს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც წარმოგზავნილნი არიან საოლქო სამღვდელოების კრებათაგან, ხოლო დანარჩენი დამსწრენი კი დაშვებულ იქმნან მხოლოდ სათათბირო ხმით.

დაკმაყოფილებულ იქმნას მედავითნეთა მოთხოვნილება, რომლის თანახმადაც მათ უნდა მიეცეთ მრევლთაგან შემოსავლის ორი მეხუთედი ($^2/_5$) ნაწილი. იქ, სადაც ორი მედავითნეა, მღვდელს მიეცეს ნახევარი ხოლო მეორე ნახევარი ორივე მედავითნეს.

გაუქმებულ იქმნას სასულიერო პირთა, „კომისართა“ თანამდებობა და მათი მოვალეობა დაეკისროს საოლქო საბჭოების წევრებს.

მოწვეულ იქმნას ამა მიმდინარე წლის 6 აგვისტოსთვის ქ. თბილისში სრულიად საქართველოს საეკლესიო დამფუძნებელი კრება;

მიენდოს მღვდელ-მონაზონს მამა ონოფრეს და ბატ. იერონიმე მიხეილისძე არსენიშვილს, წარსდგენ თბილისის დროებით მმართველობის წინაშე და ამცნონ მას საეპარქიო კრების აღნიშნული გადაწყვეტილება და მასთან ერთათ ის საკითხებიც, რომლებიც დამფუძნებელი კრების მიერ უნდა იქმნან განხორციელებულ — გადაწყვეტილნი.

იმერეთის საეპარქიო განყოფილების სამმართველოს (აღმასრულებელი კომიტეტის) წევრთა ნაცვლად არჩეულ იქმნას ახალი, რომლის შემადგენლობაშიაც, როგორც ფარულმა კენჭის ყრამ გამოარკვია, შევიდნენ ხმის უმეტესობით შემდეგი მღვდლები: 1) სპირიდონ ლეკვეიშვილი, 2) სამსონ დევიძე, 3) გერვასი ბარათაშვილი, 4) იოსებ წერეთელი, 5) სიმონ ჭელიძე, 6) დომენტი ჩხაიძე და 7) იასონ აბესაძე; მედავითნეები: 1) პიმენ არაბიძე, 2) ნიკოლოზ კაჭახაძე, 3) ილარიონ დეისაძე, 4) ონიფანტე სვანიძე, 5) პლატონ ჯიშკარიანი, და დიაკვნები 6) ბართლომე კუხიანიძე, და 7) თეოფანე ჩვედელიძე. ერის წარმომადგენლებიდგან კი არჩეულ იქმნენ: ბ. ბ. 1) ტრიფონ ჯაფარიძე, 2) იერონიმ არსენიშვილი, 3) სიმონ ამირეჯიბი, 4) იაკობ ცინცაძე, 5) ვ. ბერიძე, 6) სამსონ ყიფიანი და 7) მოსე ვაჩიბერიძე.

სანთლის საწყობის გამგეობა და მასთან დაკავშირებული მთელი საქმის თაოსნობა, რაც კი შეეხება სანთლის საქმეს, როგორც მაგ. ცვილის ყიდვა და სხვა, დაეკისროს მღ. ვლადიმერ მაჭარაშვილს, რომელსაც ჯამაგირათ დაენიშნოს წელიწადში 2000 მანეთი და მასთან ეძლიოს მას მისასვლელ-მოსასვლელი ხარჯები. ადგილი მღვდ. მაჭარიშვილისა განთავისუფლებლათ იქმნას გამოცხადებული. ყოფილ გამგეს მღ. ევსევი ჭოხონელიძეს ეძლიოს სანთლის შემოსავლიდგან წელიწადში 600 მანეთი. კრებამ მოისმინა

სრულიად საქართველოს ქართველ მასწავლებელთა ამა წლის 23 მაისის კრების ოქმი, მიიღო ყველა მისი მთავარი დებულებანი და დაადგინა მოხსენდეს იგი სრულიად საქართველოს საეკლესიო დამფუძნებელ კრებას.

თანახმად სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ბ. იერონიმ არსენიშვილის სიტყვიერი მოხსენებისა, გაუქმებულ იქმნას სასწავლებლებთან არსებული საავათმყოფო და ის ოთახები, რომელშიც საავადმყოფო იყო მოთავსებული, გადაეცეს სასწავლებლის საჭიროებისამებრ მოსახმარებლათ. სასულიერო სასწავლებლის საოჯახო ხარჯების დასაფარავათ, თანახმათ იმავე სასწავლებლის ბატ. ზედამხედველის სიტყვიერ მოხსენებისა, შემოღებულ იქმნას მომავალი სამოსწავლო წლიდგან მოსწავლეთათვის გადასახადი; ასეთივე გადასახადი საოჯახო ხარჯებისათვის შემოღებულ იქმნას სასულიერო სემინარიაშიც არა უმეტეს 20 მანეთისა.

მიეცეს კრებაზედ მოსულ დელეგატებს ხარჯების დასაფარავათ დღიურათ 10 მანეთი თვითეულს.

საქალებო სასწავლებლის მდაბალ მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი, როგორც ჯამაგირების გადიდების, აგრეთვე სხვა უფლებათა მოპოვების შესახებ პრინციპიალურად მიღებულ იქმნას, მხოლოთ დაკმაყოფილება მათი მოთხოვნილებისა მიენდოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც აირჩევს თავიანთ შორის კომისიას და ეს კომისია იქონიებს მოლაპარაკებას მოსამსახურეებთან და შეუთანხმდება მათ; ამ ხარჯების დასაფარავათ, რომლებიც გამოწვეულ იქმნება მათთან შეთანხმებით, იქმნეს დაკმაყოფილებული სწავლის ფულით, რომელიც უნდა იქმნას შემოღებული მომავალი სამოსწავლო წლიდგან ყველა მოწაფეებზედ, განურჩევლათ წოდებისა.

ყოველივე სამღვდელო ჩინ-ორდენების დაჯილდოების ტარება, შემოღებული რუსის სინოდისაგან სამღვდელოების მიერ მოისპოს დღეიდგან: დარჩეს მხოლოთ დროებით ჯვრების ტარება, სანამ საქართველოს საეკლესიო დამფუძნებელი კრება შეიმუშავებდეს და შემოიღებდეს ახალ ისეთ ნიშნებს სამღვდელოებისათვის, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ჩვენი ეკლესიის თვითმწყესობის დროს. დამფუძნებელმა კრებამვე შეიმუშავოს სამღვდელოებისათვის ტანისამოსის ფორმაც, ხოლო ანაფორის ტარება კი მათთვის არ იქმნეს სავალდებულო.

საკუთარი გაზეთის გამოცემა სიძვირისა უსახსრობისა გამო დროებით გადადებულ იქმნას. სამღვდელოებაზე მრევლის საჩივარი გამოძიებულ იქმნას სამღვდელოების საოლქო საბჭოების და საერო კომიტეტის წევრთაგან შემდგარ კომისიის მიერ (კომისიაში უნდა შევიდეს თანასწორი რიცხვი სამღვდელოებისა და ერის კაცებისაგან) უკეთუ გამოძიებამ აცნო ბრალდებულთა დანაშაული, იგინი იქმნან დასჯილნი და ზოგიერთ შემთხვევაში მრევლიდგანაც ვაძევებულნი; წინააღმდეგ შემთხვევაში კი დატოვებულ იქმნან თავიანთ ადგილზე. პროვოკატორების წინააღმდეგ კი რომლებიც გამსჭვალულნი არიან პირადის ინტერესებით და შეაქვთ მრევლსა და სამღვდელოებას შორის განხეთქილება, მიღებულ იქმნას სასტიკი ზომები, როგორც სასულიერო მთავრობის, ისე ერის მხრივაც.

ხელახალი არჩევნები იმ პირების, რომლებსაც დღეს უკავიათ ადგილი მრევლში, ჯერ-ჯერობით იქმნას შეჩერებული და ასეთი წესი თანდათანობით განხორციელდეს

სამღვდელო და სამედავითნო კანდიდატებს ეძლევათ უფლება ეგზამენის დაჭერისა მხოლოდ ადგილის დაცლამდის. განთავისუფლებულ ადგილზე არჩევნების მოხდენა შეჩერებული იქმნას ერთი თვის ვადით დათვისთავზე მოხდეს კანონიერი არჩევნები. არჩევნებში შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა იმ პირებმაც, რომლებიც აღნიშნულ ერთი თვის განმავლობაში ჩააბარებენ ეგზამენს.

სასულიერო და საქალებო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში არჩეულ მღვდლებთან ერთად შევიდნენ სამი მედავითნე იოსებ ლორთქიფანიძე, ევგენი ჭარხალაშვილი და ონიფანტე სვანიძე. სამარხი კარის გამგეობაში დანიშნულ იქმნან მედავითნენი იგივენი, რომლებიც არჩეულ არიან პედაგოგიურ საბჭოში.

გაიგზავნონ თბილისში კომისარიატთან საშუამდგომლოთ შესახებ სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მღვდლები იოსებ წერეთელი და გერვასი ბარათაშვილი და მედავითნე პლ. ჯიშკარიანი, რომელთაც მიეცესთ გზის ხარჯათ 300 მანეთი.

12 ივლისის კრებას ეწვია თ-დი მ. ანჩაბაძე, რომელმაც, ვითარცა აფხაზმა, სურვილი გამოსთქვა, რომ აფხაზნი შეურთდნენ საქართველოს, როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკურ კითხვებში და მომავალში იცხოვრონ ქართველებთან ერთის ცხოვრებით. ბატონ ანჩაბაძის წინადადებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია კრებაში და საპასუხოთ გამოვიდნენ მღვდლები ს. ჭელიძე და ვლ. მაჭარაშვილი.

ამავე კრებაზე წარმოსდგა უცნაურის წინადადებით ბ. კ. ფიცხვერაშვილი, რომელმაც ძლიერ ააშფოთა დამსწრე საზოგადოება. ვინაიდგან მისი წინადადება შეიცავდა სრულს წინააღმდეგობას მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოებისას; პასუხი გასცა მღვდელმა სიმონ ჭელიძემ.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

## უცხოეთი.

გერმანეთის ახალი კანცლერის დეკლარაცია.

ახალი კანცლერის სიტყვით გერმანელთა წყალქვეშებმა მოლოდინს გადააჭარბეს. ეს აზრი გაატარა მან სადეკლარაციო სიტყვაში, რომელიც რეიხსტაგში წარმოსთქვა. კანცლერმა შეაქო გერმანეთის ლაშქარი და სთქვა, 3 წლის განმავლობაში ასპარეზებზე გაითქვა სახელი ჩვენმა ჯარმაო. დასავლეთის ასპარეზზე ინგლის-საფრანგეთის ჯარების წინსვლა გერმანელებმა შეაჩერეს და კონტრ-შეტევით კარგს შედეგებს მიაღწიეს. აღმოსავლეთით რუსეთის შინაურ განხეთქილების გამო ერთგვარი სიწყნარე ჩამოვარდა. მოკავშირეებმა რუსეთი აიძულეს აქტიურ მოქმედებისათვის და ბრუსილოვმა დიდი მსხვერპლით მცირე გამარჯვება მოიპოვა.

საბერძნეთმა მოკავშირეთა აშკარა ძალდატანებით გერმანეთის წინააღმდეგ იარაღს ხელი მოჰკიდა, მაგრამ ბულგარელთა ბრძოლის პირი მტკიცეა. მცირე აზიის ასპარეზებზე სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია, ხოლო, როდესაც მოკავშირენი ამოქმედდებიან მათ წინ დახვდებათ ხელახლად შეიარაღებული და საუკეთესოდ გაწრთვნილი ოსმალეთის ჯარი.

ზავის შესახებ კანცლერმა შემდეგი განაცხადა გერმანიამ სასახელოდ გადაიხადა ეს ომი და გამარჯვებული დარჩა; ამ გარემოებამ უეჭველად გავლენა უნდა იქონიოს საზავო პირობებზეო. უნდა უზრუნველ იყვეს გერმანეთის მიწაწყალი, როგორც კონტინენტზე, ისე კიდევ ახალშენებში, ზავმა სამუდამოდ უნდა ჩამოაგდოს მშვიდობიანობა ხალხთა შორის და იმის გარანტია მოგვეცეს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეთა კავშირი ეკონომიურ კავშირად არ გადაიქცეს ჩვენთან საბრძოლველად.

## პასუხი მღვდელს მ. მიხეილ ბუაჩიძეს

გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ [illegible] მე-80 №-ში მოთავსებულია თქვენი ღია ბარათი, რომლითაც მამაო მიხეილ, შეკითხებით, თუ რამ [illegible] წევრებათ დასახელება იმერეთის საეპარქიო [illegible] ნადები და პირადი შეხედულება ვისმეზე ჩემი მესი, მე მეკუთვნის და არავის უფლება არ აქვს ჩემ გულში ხელის ფათურის. მიკვირს კი ძლიერ, მ. მიხეილ, რათ თვლით თქვენ თავს შეურაცხყოფილათ ან და დანარჩენ ამხანაგებს, რაც დარწმუნებული ვარ თქვენთვის არ დაუვალებიათ. პირადათ მოგახსენეთ და ახლაც გიმეორებთ ამასვე, რომ არავისი შეურაცხყოფა მე მიზნათ არ მქონია და არ მაქვს, მით უმეტეს რომელიმე ამხანაგის და მასთან თქვენი. თუ კი რაიმე ასეთი გეეჭვებათ, გთხოვთ მოიქცეთ საამხანაგო სინდისის სამართალში, რაც უკვე დაარსებულია, დეე?? იქ გაგვასამართლონ; მხოლოდ დაუფიქრდით კა რას ნიშნავს ასეთი თქვენი გამოსვლა.

ამით მე ვსპობ შემდეგში პასუხი გაგცეთ, რაკი ვიცი რომ თქვენ მადა გაქვს გაზეთის ფურცელზე ხშირად იყოს თქვენი სახელი და გვარი მე კი მაგ ხანა გავიარე. დღეს საქმეზე და საქმეზე...

მღვდელი სამსონ დევიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.

დოქტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ვ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთეხი სახლი № 3 ტელეფონი № 101.

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით — 9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. კანტორა ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფონი 15—73.
რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“

ეროვნულ-დემოკრატიულ
პარტიაში ჩაწერა
გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში
თფილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახლი დილის 9—2 საათამდის და საღამოს 5—8 საათამდის.

ჩვენი ქვეყნის რედაქციას
ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ
გადმოსცა 200 მან. საუკეთესო პრემიათ თხზულებისათვის გადმოსცა 200 მან.
(განურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე.
წერილი უნდა იყოს არანაკლები 1-სა და არა უმეტეს 3 ფელეტონისა ე. ი. 400—1200 სტრიქონისა.
ჟიურის შემადგენლობა თავის დროზე გამოქვეყნდება.

მამულიშვილნო
დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.